საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-69.69220386**
თარიღი:**07/02/2022**

2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61 - მუხლის მე - 2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილების ,,2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი1. მოწონებულ იქნეს 2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეები დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს საპროექტო იდეების წარსადგენად დადგენილებით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.
მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი